პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

1-ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

174 (1169) | ხუთშაბათი, 25 ნოემბერი 1926 წ. | (1169) 174

## ახალწვეულო, გამოიწერე შენი გაზეთი

ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ პირველი მეგობარია წითელი მებრძოლის. მისი საშუალებით ახალგაზრდა წითელ არმიელი ეცნობა, როგორც თავისი ნაწილის, წითელი ჯარის, ისე მთელი საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სახელმწიფოების ცხოვრებასა და მუშაობას. გაზ. „წითელ არმიელი“—წითელ არმიელების გაზეთია. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს მას, რომ მისი ყოველდღიურ ნომრის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ თვით წითელ არმიელები, მასთან მკითხველებიც წითელ არმიელები არიან. მაშასადამე „წითელი არმიელი“ თვით წითელ მებრძოლთა შემოქმედებაა. ამავე დროს მეტად საჭიროა წითელი მებრძოლისათვის, რადგან ის ეხმარება მას ყოველდღიურ სწავლებასა და მუშაობაში. ამიტომ ყოველი წითელი არმიელი მოვალეა იყოს არა მარტო აქტიური თანამშრომელი და მკითხველი ჩვენი გაზეთის, არამედ მისი ხელისმომწერიც. გაზეთი მატერიალურად მეტად ღარიბია. ეს კი ავალებს წითელ არმიელებს დაეხმარონ თავის გაზეთს, გააძლიერონ მისი მატერიალური საშუალებები. რით? გაზეთის გამოწერით. რაც უფრო მეტი ხელისმომწერლები ეყოლება ჩვენს გაზეთს, რაც უფრო ფართედ გავრცელდება ის წითელ ყაზარმაში, მით უფრო განმტკიცდება ის მატერიალურად და გაუმჯობესდება შინაარსის მხრივაც. ახალგაზრდა წითელ არმიელებმა, რომლებიც ეხლახან მოვიდენ წითელ ყაზარმაში უნდა გვიჩვენონ ამ დახმარების საუკეთესო მაგალითი-გამოიწერონ გაზეთი „წითელ არმიელი“. ახალწვეულთა შორის ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერის შეკრება უნდა ითავონ ჩვენმა სამხკორებმა და ყოველმხრივ ეცადონ რაც შეიძლება ფართედ გაავრცელონ „წითელი არმიელი“ ახალწვეულთა შორის.

ახალგაზრდა მებრძოლნო, გამოიწერეთ თქვენი გაზეთი „წითელ არმიელი!“ ფართედ გაავრცელეთ ის ყაზარმასა და სოფლებში! ხელი შეუწყვეთ „წითელ არმიელის“ მატერიალურად განმტკიცებას!

ვინ იქნება პირველი ხელისმომწერი!

## მზადება ბრძოლებისთვის.

### კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმის გამო.

მოსკოვში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მე-7 გაფართოებული პლენუმი (სხდომა). ყველა ქვეყნის მოძმე კომუნისტური პარტიები შეიკრიბენ წითელ დედაქალაქში, რათა ჯამი გაუკეთონ ყველა ქვეყნის მშრომელთა რევოლიუციურ ბრძოლას და გაარჩიონ შემდეგი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმი შეიკრიბა მშრომელთა საერთაშორისო ბრძოლისა და კომინტერნის ცხოვრების საპასუხისმგებლო მომენტში. სკპ(ბ)-ში ეხლახან მომხდარ დისკუსიამ გამოძახილი ჰპოვა სხვა კომუნისტურ პარტიებშიაც. ჩვენი ოპოზიციის გამოსვლის გავლენით ამოძრავდა მემარჯვენე ოპოზიცია საფრანგეთის კომპარტიაში, მემარცხენე—გერმანიის კომპარტიაში და აგრეთვე კომინტერნის სხვა სექციების ანტიპარტიული დაჯგუფებანი.

მთელი ბურჟუაზიისა და მენშევიკური პრესა ახმაურდა ამის შესახებ, და როგორც ორი და ორი ოთხია, ამტკიცებდა, რომ კომინტერნი, სკპ(ბ)-ს მეთაურობით, განიცდის კრიზისს, რომ მისი „დარღვევა“ აუცილებელია. ამით ბურჟუაზიამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა მხეცური სიძულვილი მისი მომავალი მესაფლავის—კომინტერნისადმი და სურვილი „დარღვეული“ დაენახა ის.

მაგრამ მთელი მსოფლიო კაპიტალისა და მისი ლაქიების სამწუხაროდ ეს არ მოხდა და არც მოხდება. სკპ(ბ)-მ, კომინტერნის ამ ფოლადის ხერხემალმა ერთსულოვანი პასუხი გასცა ოპოზიციას. ოპოზიციის იმედები, რომ დახმარებას გაუწევდენ უცხოეთის კომპარტიები,—არ გამართლდა. უმნიშვნელო, ლენინის გზიდან გადასულ ჯგუფებს გარდა, ოპოზიციას კომინტერნში არავინ გაჰყვა. კომინტერნის მსხვილი სექციების მომეტებულმა მასაც მიემხრო სკპ(ბ)-ს ცეკასა და მე-15 პარტკონფერენციის ლენინურ ხაზს. მოძმე კომპარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამჟამად ოპოზიციური ჯგუფები კომინტერნში ჰკარგავენ ყოველგვარ გავლენას, სკპ(ბ)-ს ავტორიტეტი კი განუწყვეტლივ იზრდება.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ამბების ფონზე, რომლებიც ეხლა მიდის. ინგლისის მაღაროს მუშათა დიდი გაფიცვა, რომელიც აგერ უკვე 7 თვე იქნება, უდიდესი გაკვეთილია ყველა ქვეყნის მუშათა კლასისთვის. გენერალური საბჭოს გამცემლური როლი და მთამადნის მუშათა ზოგიერთ ბელადების ორ სკამზე ჯდომა, რომლებიც ფაქტიურად მაღაროს პატრონებს ეხმარებიან, დიდ როლს ითამაშებს საერთაშორისო პროლეტარიატის გარევოლიუციონერებაში და კაპიტალის წინააღმდეგ მის შემდეგ ბრძოლაში.

ხოლო ეს გაფიცვები, უეჭველია, იქნება და რამდენიც დრო გავა—მით უფრო ძლიერი სახით. კაპიტალიზმის დროებით და მერყევ სტაბილიზაციას (მომაგრებას) ძირს უთხრის განუწყვეტი კრიზისები, რომლებიც ხშირად მოსდევს ერთიმეორეს. ეს კრიზისები შეჰქმნიან ახალ შეხლას შრომასა და კაპიტალს შორის, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მიიყვანენ მუშათა კლასს გამარჯვებამდი.

ამასთან ერთად იზრდება და ფართოვდება აღმოსავლეთისმშრომელთა რევოლიციური მოძრაობა. რევოლიციური კანტონის დროშა უფრო და უფრო იწევს მაღლა ჩაგრულ ჩინეთის თავზე. ჩინეთის მოსაზღვრე კოლონიებიც მაღლა სწევენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშას. სირიაში გრძელდება სირიელთა ბრძოლა საფრანგეთის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. რევოლიუციური აღმოსავლეთი მიდის რევოლიციურ დასავლეთისაკენ.

კაპიტალისტური ქვეყანა გაცხარებით იცავს თავის არსებობას. ის არაფერს არ ზოგავს რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ხანძარ მოდებული კაპიტალისტური მსოფლიო, ადრე თუ გვიან განადგურდება რევოლიუციის ხანძარში.

ლენინის ანდერძების ერთგული კომინტერნი, რომელიც ინახავს თავისი რიგების ფოლადისებურ მთლიანობას, მოამზადებს და წაიყვანს მშრომელ მასებს უკანასკნელ იერიშზე კაპიტალის წინააღმდეგ.

„კრ. ვ.“

# ინგლისის გაფიცულები არ უთმობენ

## კუნძულ იავაზე აჯანყებულთა მოძრაობა გრძელდება

### გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

## დელეგატთა კონფერენციის სამარცხვინო გადაწყვეტილება

მთამადნის მუშათა კავშირის დელეგატთა კონფერენციამ წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს—გადასწყვიტონ: გააგრძელონ გაფიცვა თუ მიიღონ მთავრობის წინადადება ე. ი. უარჰყონ ძველი მონაპოვარი. კენჭის ყრამ ადგილებზე დაამტკიცა, რომ მუშები დამორჩილების წინააღმდეგი არიან. კონფერენცია დაიბნა, მაგრამ დიდი თათბირის შემდეგ წინადადება მისცა მუშებს შეუდგენ რაიონულ მოლაპარაკებას მაღაროს პატრონებთან ე. ი. არსებითად სცნონ გაფიცვების დამარცხება. გარდა ამისა კონფერენცია ურჩევს მუშებს დაეთანხმონ სამუშაო ხელფასის 13 პროც. დაკლებაზე.

## მუშები სისხლით იცავენ თავიანთ უფლებებს

ფაიფშირში მოხდა რამოდენიმე შეტაკება პოლიციასა და მთამადნის მუშებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა რამოდენიმე პოლიციელი.

## 4500 კაცის დაპატიმრება გაფიცვისთვის.

ინგლისის მთამადნის მუშათა გაფიცვების დაწყებიდან 20 ოქტომბრამდე აღძრულია სასამართლოს ძიება 4500 კაცის წინააღმდეგ მთამადნის მუშათა გაფიცვებთან დაკავშირებით.

## ინგლისი ბანდიტებს აიარაღებს.

ინგლისის კოლონიაში—გონკონგში, რომელიც მდებარეობს ქ. კანტონის მეზობლად, ინგლისელები აიარაღებენ ბანდიტებს და ამზადებენ სადგურებზე თავდასასხმელად. კანტონის სამხედრო ძალები გამოძიებას აწარმოებენ.

## სისხლისმღვრელი ბრძოლები იავაზე,

### აჯანყებულთა ზარალი.

ინგლისის შავრაზმული გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელ ბრძოლებში აჯანყებულებს მოუკვდათ 350 კაცი და უკან დაიხიეს. მთელ კუნძულ იავაზე დაპატიმრებულია 1000 კაცი.

ჰოლანდიის ხელისუფლება იმუშავებს იავას კომუნისტურ ბელადთა გადასახლების გეგმას.

ინგლისური გაზეთების ცნობით აჯანყება თუმცადა დამარცხდა, მაგრამ იავას დასავლეთსა და შუა ნაწილში მღელვარება გრძელდება.

## ატამან სემიონოვმა საქმე გაიჩინა

თეთრ გვარდიელთა ატამანი—სემიონოვი ამ ჟამად იმყოფება შანხაიში და დანიშნულების მიღებამდე სცდილობს შეადგინოს თეთრგვარდიელთა რაზმები სუნ-ჩუან-ფანის არმიაში.

## კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებული პლენუმი

### პლენუმის გახსნა

22 ნოემბერს საღამოს კრემლის დიდი სასახლის ანდრეევის დარბაზში (მოსკოვი) ზეიმით გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებული პლენუმი.

აღმასკომის პრეზიდიუმის სახელით პლენუმი გახსნა ამხ. ბუხარინმა, რომელსაც მთელი დარბაზი დიდი ოვაციებით შეხვდა. ამხ. ბუხარინი ამასთანავე ერთად მიესალმა პლენუმს საკავშირო კომპარტიის სახელით და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და სხვათა შორის განაცხადა:

„ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას, იმ გზით, რომელსაც მივყევართ დასახულ მიზნებისაკენ და სრულიად დარწმუნებული ვართ, გავიმარჯვებთ.

ეს არის ძლიერთა რწმენა; ეს რწმენა მით უფრო ურყევია ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი პარტიის რკინისებურ რიგებში, რომ ჩვენ ვიბრძვით, ვცოცხლობთ, ვკვდებით და ვიბრძვით არა თავისთვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისთვისო“.

### პრეზიდიუმის არჩევა

ბუხარინის სიტყვის შემდეგ მოხდა პლენუმის პრეზიდიუმის არჩევა. ერთხმად იქნენ არჩეული პრეზიდიუმში: ბუხარინი, სტალინი და მანუელსკი. ამათ გარდა პრეზიდიუმში შევიდენ ყველა ქვეყნების წარმომადგენლები.

ამის შემდეგ პლენუმმა გამოიმუშავა მოწოდებები, ინგლისის მუშების დახმარების, ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობისათვის ხელის შეწყობის და მსოფლიო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

### ამხ. ზინოვიევის წერილი

შემდეგ პლენუმმა დააკმაყოფილა ზინოვიევის თხოვნა პლენუმისადმი მისი განთავისუფლების შესახებ კომინტერნის თავმჯდომარეობის მოვალეობიდან და საერთოდ კომინტერნში მუშაობისაგან, იმ გადაწყვეტილებათა გამო, რომლებიც მიღებული იქნა კომინტერნის უმთავრეს სექციებში.

## მუსოლინი უსწორდება კომუნისტებს

იტალიის ყოველი კომუნისტი, გამოჩენილი სოციალისტი და რესპუბლიკანელი დეპუტატები ჯერ კიდევ საპატიმროებში იმყოფებიან. ფაშისტურ მთავრობას განზრახული აქვს ყველა კომუნისტი დეპუტატები გადაასახლონ ტირენის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე.

## საბჭოთა კავშირში

### ვოროშილოვის წერილი არმიიდან გაშვებულ მეთაურთა შემადგენლობას.

ს. ს. რ. კავშირის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი და რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვოროშილოვი მ. გ. წ. ა. მეთაურთა შემადგენლობისადმი მიმართულ წერილში სწერს:

„ს.ს.რ.კ. რევსამხსაბჭომ გაათავისუფლა წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მიღებულია ზომები მათი ახალ ადგილებზე მოსაწყობათ, რაც ამრიგად წარმოადგენს მხოლოდ სამსახურის გადანაცვლებას.

რევსამხსაბჭო ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ არმიიდან თადარიგში გაშვებული მეთაურები—კომისრები, უფროსები და პოლიტხელები არ გასწყვეტენ ცოცხალსა და უშუალო კავშირს წითელ არმიასთან და მუშაობის ახალ სარბიელზე წარმატებით გამოიყენებენ თავიანთ პოლიტიკურ შეგნებას, ცოდნას დისციპლინიანი და კეთილსინდისიერი მუშაობის მეთოდებს, რომლებიც შეიძინეს მათ წითელ არმიაში სამსახურის წლებში.

# პარტიის მთლიანობისათვის, ლენინურ ხაზისათვის.

## საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციებს.

შინაპარტიული მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საქართველოში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შემდეგ, ხასიათდებოდა ოპოზიციონური ჯგუფების გამოცოცხლებითა და მათი გადასვლით აშკარა-ფრაქციულ მუშაობაზე. ადგილობრივი ოპოზიციის ამ ფრაქციულ მუშაობას სათავეში უდგნენ ძველი ქართული უკლონიზმის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები—იმ ფრთის, რომელიც ცნობილია მათი ბელადის, ამხ. ბუდუ მდივანის სახელიდან წარმომდგარი „ბუდისტების“ სახელწოდებით (კ. ცინცაძე, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და სხვ.). ეს ფრთა დაგმობილი საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე (1922 წ.) ნაციონალისტური გადახრისათვის, ერთ დროს მომხრე დიდი დათმობისა წვრილ-ბურჟუაზიული და შოვინისტური ფენებისადმი, ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციისადმი, წინააღმდეგი მიწის რეფორმის გატარებისა რევოლიუციონური წესით, წინააღმდეგი მენშევიზმთან დაუზოგველი ბრძოლისა, და საქართველოს შესვლისა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში—ახლა მიემხრო ახალ ოპოზიციას და დადგა ტროცკიზმის გეგემონიის ქვეშ.

ადგილობრივი ახალი უკლონისტური ოპოზიცია არ დაკმაყოფილდა პარტიული წესდების ფარგლებით და მან დაიწყო ბრძოლა ფრაქციული მეთოდებით, რომლებმაც ზოგან ყოვლად მახინჯი ფორმა მიიღეს. ეს ფრაქციული ბრძოლა გამოიხატა პარტიული ცხოვრების ელემენტარულ საფუძვლების დარღვევის ჯერ გაუგონარ ფაქტებში, როგორც მაგალითად: არალეგალურად ფრაქციული დოკუმენტების გავრცელებაში (რუსულ და ქართულ ენებზე), სპეციალური კითხვარების შედგენაში ხშირად წმინდა მენშევიკური შეკითხვებით, ჯგუფური არალეგალური კრებების მოწვევაში და განსაკუთრებული რწმუნებულების საშუალებით კავშირის გაბმაში თბილისის ორგანიზაციის რაიონებთან და მაზრებთან. დაბოლოს ეს მუშაობა დაგვირგვინდა ოპოზიციონერების ფრაქციულ დემაგოგიური გამოსვლებით თბილისისა და ბათომის უჯრედებში, სადაც ისინი შეეჯახენ ენერგიულ და ერთსულოვან წინააღმდეგობას მთელი პარტიული მასის მხრით, რომელიც, როგორც სალი კლდე, აღიმართა პარტიის ცენტრალური ორგანოების ირგვლივ.

ამ სასტიკმა დამარცხებამ აიძულა ადგილობრივი ოპოზიციის ბელადები დაფიქრებულიყვნენ, მაგრამ მათი უილაჯობა გამოაშკარავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ც. საკონტროლო კომისიის პლენუმზე 15 ოქტომბერს კიდევ იმაში, რომ მოკლებულებმა მითითებებს ცენტრიდან, მათ ვერ შესძლეს პირდაპირ და პატიოსნად გაეცათ პასუხი კითხვაზე. აქვთ თუ არა მათ განზრახვა ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღებისა. მაგრამ ცენტრში გამოქვეყნებულმა ექვსი ამხანაგის 16 ოქტომბრის განცხადებამ, სადაც ისინი უარს ამბობდენ ფრაქციულ მუშაობაზე, ამხ. მედვედევისა და შლიაპნიკოვის კიდევ უფრო შორს მიმავალ განცხადებამ მეთუთხმეტე პარტკონფერენციის დროს და ბოლოს თვით ამ კონფერენციის მუშაობამ, მიიყვანა ადგილობრივი ოპოზიციის ბელადებიც იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია გარკვეული განცხადებით გამოსვლა მათი წარსული მუშაობისა და მათი ეხლანდელი პოზიციის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცეკა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ოპოზიციის ლიდერებმა, თუმცა რამდენიმედ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს არსებითად მათდამი წარდგენილი პირობები.

დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნებულია თბილისის დღევანდელ გაზეთებში, ნათქვამია, რომ ადგილობრივი ოპოზიცია აღიარებს თავის შეცდომებს ფრაქციულ ბრძოლის წარმოების მხრივ, დაშლილად აცხადებს ფრაქციას, პირობას დებს უსიტყვოდ დაემორჩილოს პარტიის და მის ცენტრალურ ორგანოების ყველა გადაწყვეტილებებს.

ეს ის მინიმუმია, რომელიც აუცილებელია პარტიის მთლიანობის შესაქმნელად.

მაგრამ ამასთან ერთად ცეკა მიაქცევს პარტიის წევრთა ყურადღებას განცხადების იმ ნაწილზე, სადაც ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები ამბობენ, რომ ისინი ეხლაც სდგანან ახალ ოპოზიციის პრინციპიალურ შეხედულებათა ნიადაგზე. საკავ. კომპარტიის მეთუთხმეტე პარტკონფერენციამ ახალ ოპოზიციის პრინციპიალური შეხედულებები დაახასიათა როგორც სოც.-დემოკრატიული გადახრა. ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები გაკიცხული არიან საქართველოს კომპარტიის მიერ ნაციონალისტურ გადახრისათვის. რამდენადაც ისინი განაგრძობენ თავიანთ შემცდარ არალენინურ შეხედულებათა ნიადაგზე დგომას, აუცილებელია ვაწარმოოთ დაუზოგავი იდეური ბრძოლა იმ გადახრებთან, სანამ ისინი საბოლოოთ არ იქნებიან დაძლეული.

ცეკა მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს შეუდგენ ამ იდეურ და განმარტებულ მუშაობას. მასთან ძირშივე ამოჰკვეთონ პარტიულ დისციპლინის დარღვევის ყოველგვარი ცდა და დაიცვან პარტიის ურყევი მთლიანობა.

იბრძვის რა ტროცკიზმისა და ყოველგვარ უკლონიზმის წინააღმდეგ, საქართველოს კომპარტია მტკიცედ იდგომება ლენინიზმის ნიადაგზე, რომელიც იყო, არის და იქნება მთელი ჩვენი პარტიის დროშა.

**საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**

## განცხადება

საქართველოს კომპარტიას ჩვენ უცხადებთ შემდეგს:

1) აშკარად ვაღიარებთ პარტიის წინაშე, რომ, როდესაც ივლისის პლენუმზე წარმოშობილ ახალ ოპოზიციას ვემხრობოდით ჩვენი შეხედულებებით, რომელთა ნიადაგზე ვდგევართ დღესაც,—ჩვენ და ჩვენმა თანამოაზრეებმა ამ შეხედულებათათვის ბრძოლაში დაუშვეს პარტდისციპლინის დამრღვევი ნაბიჯები, რომლებიც გასცილდნენ პარტიის მიერ დაწესებულ იდეურ ბრძოლის ფარგლებს და შესდგენ ფრაქციულობის გზაზე.

ვსცნობთ რა ამ ნაბიჯებს სრულიად დაუშვებელ შეცდომად, საბოლოოდ და გადაჭრით ვაცხადებთ უარს ჩვენ შეხედულებათა დაცვის ფრაქციულ მეთოდებზე, რომლებიც სახიფათოა პარტიის მთლიანობისათვის.

აქეთკენ მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს, რომელნიც იზიარებენ ჩვენ შეხედულებებს.

ამასთანავე მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს, რომელნიც იზიარებენ ჩვენ შეხედულებებს, რომ დაუყონებლივ დაშალონ ყველა ფრაქციული დაჯგუფებანი იქ, სადაც ასეთები წარმოიშვენ ოპოზიციის შეხედულებათა გარშემო.

2) რაც შეეხება საკითხებს: ა) კრუპსკაიას განცხადება მე-14 ყრილობაზე სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ, ბ) მიუტევებელი გალაშქრება კომინტერნის წინააღმდეგ მისი კრიტიკის სახით, გ) ოსოვსკის, შლიაპნიკოვის, მედვედევის საქმე,—ჩვენ სავსებით და მთლიანად უერთდებით „ექვსის“ განცხადებას, რომელიც გამოქვეყნებული იყო „პრავდა“-ში 1926 წ. 17 ოქტომბრის თარიღით.

3) ყველა უმაღლეს პარტორგანოებისა და პარტორგანიზაციების დადგენილებას უსათუოდ სავალდებულოდ ვსცნობთ ჩვენთვის, გავატარებთ მათ ცხოვრებაში საქმით და უსიტყვოდ, დავემორჩილებით მათ ყოველგვარი პირობის გარეშე.

4) ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ ისეთ შეხედულებათა ორგანიზაციულად განმტკიცებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პარტიულ გადაწყვეტილებებს.

5) გამოვდივართ რა იმ გარემოებიდან, რომ ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომლებმაც ამ პერიოდის განმავლობაში დაუშვეს ბრძოლის ფრაქციული მეთოდები ოპოზიციის შეხედულებათათვის ბრძოლაში, გამორიცხულ იქნენ პარტიიდან იმის გამო, რომ არ სცნეს მათ მიერ ჩადენილი შეცდომები, ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ პარტია აღადგენს წევრობის უფლებებში იმათ, რომლებიც აღიარებენ ჩადენილ შეცდომებს პარტდისციპლინის დარღვევის საქმეში; ამასთანავე, ვალდებულად ვრაცხთ თავს ნამდვილი და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოთ პარტიას ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაციაში და პარტდისციპლინის დარღვევის კვლავ განმეორების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ნიკო კიკნაძე**
**ლადო დუმბაძე**
**ბენო კალანდაძე**

**20 ნოემბერი**

## ბრძოლა ნაციონალისტურ და სოც.-დემ. გადახრასთან

21 ნოემბერს შესდგა ქართულ სამხედრო სკოლის და ზოგ ქართულ ნაწილების კომუნისტების საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. კახიანისა მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე, კრება ერთხმად უერთდება კონფერენციის დადგენილებებს. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციონური ბლოკი, რომელსაც ასულდგმულებდა ტროცკი, მთავარ პრინციპიალურ საკითხებში გადაეშვა სოციალ-დემოკრატიულ ჭაობში ჩვენი სახელმწიფოს არა პროლეტარული ბუნების აღიარებით, და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობის უარისყოფით ოპოზიციონურმა ბლოკმა ეჭვები შეიტანა ოქტომბრის რევოლიუციის სოციალისტურ ბუნებაში და ამით გვერდში ამოუდგა სოციალ-დემოკრატიის მამამთავრებს, როგორიც არიან ოტტო ბაუერი და კაუცკი.

ახალი ოპოზიცია უარყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. ტროცკის ცნობილი დებულება: „უიმედოა იმაზე ფიქრი, თითქო რევოლიუციონური რუსეთი შესძლებს გაუძლოს კონსერვატიულ ევროპას“, დღეს გახდა ახალი ოპოზიციის სახელმძღვანელო მცნებათ.

აქედან გამომდინარე პანიკამოცული ოპოზიციონური ბლოკი, სთესავდა პარტიაში უიმედობას, არევ-დარევა შეჰქონდა ჩვენს რიგებში და ამით აქეთებდა სოციალ-დემოკრატიულ საქმეს.

მოთხოვნილებათა მთელი რიგი, რომელსაც აყენებდა ოპოზიცია ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაში, მაგალითად:

ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გადიდებით, და საბითუმო ფასების აწევით, მრეწველობაში დიდი თანხების დაბანდება, სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის ხარჯზე, (რაც მეტი გაძლიერების საშუალებას მისცემდა კერძო კაპიტალს) ნათლად გვაჩვენებს იმას, რომ ჩვენს გამარჯვებაში იმედგაცრუებული ოპოზიციონური ბლოკი მიაქანებდა პარტიას მუშურ-გლეხური ბლოკის დარღვევისაკენ.

ოპოზიციონურმა ბლოკმა, რომელიც წარმოადგენდა პარტიის მიერ არა ერთხელ დაგმობილ, ანტიპარტიულ ჯგუფების კრებულს თავისი გამოსვლა დააგვირგვინა ფრაქციის ორგანიზაციულათ ჩამოყალიბების ცდით. როდესაც ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და პარტიამ მთლიანათ ლენინური პასუხი გასცა მას, მაშინ ოპოზიციონურ ბლოკმა აღიარა თავის დანაშაული ფრაქციის ჩამოყალიბებაში, მაგრამ იმ იდეურ შეხედულებებზე, რომელიც მე-15 კონფერენციამ დაახასიათა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა, ისინი უარს არ ამბობენ.

თავის იდეურ „ბაგაჟზე“ არ იღებს ხელს არც ადგილობრივი უკლონისტების ჯგუფი, რომელთაც ახასიათებს გარდა მათი საერთო სოციალ დემოკრატიულ მენშევიკური თვისებებისა, კიდევ ნაციონალისტური გადახრა. კრება აუცილებლად სცნობს სასტიკი ბრძოლის წარმოებას, როგორც საერთო სოციალ-დემოკრატიულ, ისე ადგილობრივ ნაციონალისტურ გადახრის წინააღმდეგ, მის სრულ გაქარწყლებამდე.

კრება ესალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენი ორგანიზაცია გასწევს წინ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე“.

## ჩვენი ამოცანაა იდეური ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ.

კავალერიის ბრიგადის ნაწილებისა და ტფილისის გარნიზონის უმაღლეს სასწავლებლების კომუნისტთა საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. რატნეკის მოხსენება სრულიად საკავშირო მე-15 პარტკონფერენციის შესახებ, სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს. საერთო კრება კმაყოფილებით აღნიშნავს შეუდრეკ ბოლშევიკურ ნებისყოფას, პარტიისა და ცენტრალურ კომიტეტის სიმტკიცეს ლენინის ხაზის გატარებაში პარტიის მთელ პრაქტიკულ მუშაობაში. პარტიამ და მე-15 პარტკონფერენციამ ღირსეული პასუხი გასცა ლენინის სწავლების დამახინჯების ცდებს, ცდებს ლენინიზმის დროშის ქვეშ გაეტარებიათ ტროცკიზმი, ცდებს შეეყენებიათ პარტია სოც.-დემოკრატიულ ლიანდაგზე.

მე-15 პარტკონფერენციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა სისწორე სოციალიზმის აღმშენებლობის ხაზისა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აღნიშნული იყო მე 14 ყრილობის მიერ და სწორი შეფასება მისცა ოპოზიციას, როგორც ანტიბოლშევიკურს, ანტილენინურს, როგორც სოციალდემოკრატიულ განხრას ჩვენს პარტიაში.

საერთო კრება მთლიანად უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებას, სასტიკი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, წინააღმდეგ ყოველგვარ ცდებისა დაარღვიონ ლენინის პარტიის მთლიანობა.

ოპოზიციამ, თავისი გამოსვლებით მე-15 პარტკონფერენციაზე, სადაც ის იცავდა თავის პრინციპიალურ შეხედულებებს, დაგვანახა სრული თავისი უპრინციპობა და იდეური სოლიდარობა ტროცკიზმთან, რომლის გასაღებას ისინი სცდილობდენ ლენინიზმათ და ამახინჯებდენ უკანასკნელს ტროცკიზმთან შეფარდებით.

მემარცხენულ ფრაზების ნიღაბ ქვეშ ოპოზიცია სთესავდა პარტიასა და მუშათა კლასში ურწმუნოებას, მუშათა კლასის ძალაში სოციალისტური აღმშენებლობისთვის და ვარდებოდა ამით არა ბოლშევიკურ, არა ლენინურ „მართულებაში (მაღალი ფასების პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა), და ამრიგად არღვევდა პარტიის საერთო მუშაობას, არღვევდა მის მთლიანობას და რკინისებურ ბოლშევიკურ დისციპლინას.

საერთო კრება მთლიანად უჭერს მხარს მე-15 პარტკონფერენციის მიერ ოპოზიციის პრინციპების, როგორც სოციალ-დემოკრატიული განხრის განსაზღვრას და სცნობს აუცილებლად წარმოებულ იქნას შემდეგში მტკიცე და შეურყევი მუშაობა ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიულ განხრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მის საბოლოო დამარცხებამდე, და მეორეს მხრივ, აწარმოოს ამ განხრის დაწვრილებით გამომჟღავნებით მუშაობა მთლიანად მთელი პარტიის წინაშე.

მთლიანი ლენინური პარტიისთვის, ჩვენი პარტიის ლენინური ცეკასათვის.

ძირს, ბოლშევიკური დისციპლინის დამრღვევნი, რომლებიც ხელს უშლიან პარტიის ერთსულოვან კოლექტიურ მუშაობას!

## ახალწვეულო, გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

ჩვენს წითელ ყაზარმებს დღეს ევლინება მუშათა და გლეხთა შვილები სამხედრო ბეგრის მოსახდელად. აქ მათ უნდა მიიღონ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და სანიტარული ცოდნა და დაუბრუნდენ თავის ოჯახებს სრული მომზადებული მოქალაქე—მეომრები. მათ უნდა შეისწავლონ ჩამოთვლილ დარგების ის ძირითადი მცნებები, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც თვით ახალწვეულთა, აგრეთვე მათი მშობლებისა და მეზობლების არსებობა და კეთილდღეობა. წითელ ჯარის არსებობა ყველას წინაშე ნათელჰყოფს იმ დიად დადებით მხარეს, რომელსაც იძლევა მისი დღევანდელი ყოფა-ცხოვრება. აგებული შეგნებულ დისციპლინაზე, ის მართლაც შეგნებულ მოქალაქეს უბრუნებს სოფელსა და ქალაქს შრომის ფერხულში ჩასაბმელად. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არა იშვიათია შემთხვევა, როდესაც მის რიგებიდან ყოველთვის არ გადის ჯანსაღად ესა თუ ის მეომარი.

კერძოთ, აქ ლაპარაკია ვენერიულ ავადმყოფობაზე. ამ სენის გაჩენის ხელშემწყო მიზეზად უმთავრესად სთვლიან ჩვენი ყოფაცხოვრების მხარეებს. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი, წამოსული სოფლიდან ქალაქად სამხედრო სამსახურში, ვარდება სულ სხვა პირობებში, ვიდრე ის იყო აქამდე.

ქალაქად, სოციალურ-ეკონომიურ პირობათა ერთერთ მსხვერპლს წარმოადგენენ მეძავი ქალები. აი ესენი არიან ხშირად ახალგაზრდა ორგანიზმის გახრწნისა და დაშლის მიზეზი.

სოფლიდან ჩამოსულ ახალწვეულთა უმეტეს ნაწილს აქვს თან წამოყოლილი ორიოდე გროში და, მაშასადამე, აქვს საშუალება, რომლითაც მას ეძლევა თითქო უფლება იყიდოს ის, რაც მას მოესურვება. მაგრამ შეიძლება ეს უფლება განვავრცელოდ კერძოდ მეძავ ქალის მიმართ?

ჩვენი ერის, ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სიმდიდრეს ქმნის შრომელთა კლასი, რომელიც თავისი დაუღალავი შრომით საძირკველს უყრის სოციალისტურ კულტურასა და ბედნიერებას. როდესაც ესა თუ ის მუშა სახიჩრდება და აკლდება მშრომელთა რიგებს, ცხადია, ეს მოვლენა საზიანო ხდება თვით სახელმწიფოსთვისაც. და როდესაც სახიჩრდება და აკლდება რიგებს კარგი მსროლელი და მშრომელი—ესეც, ცხადია, საზიანოა; რომ ეს არ იყოს, ამისათვის უნდა ვიბრძოლოდ შეგნების ფრონტზე. ეს ბრძოლა უკვე დიდი ხანია ფეხმოკიდებულია წითელ ჯარში და მისი ნაყოფიც ამ დარგში გვახარებს და გვანუგეშებს მით, რომ ვენერიული სნეულება ჩვენს ჯარში თანდათან კლებულობს და მალე მოვა ის დრო, რომ მას სრულებით არ ექნება აქ ადგილი. ხოლო ამის მიღწევაში უმთავრეს როლს თამაშობს თვით მეომრის ნებისყოფა, რომელიც უნდა გაუფრთხილდეს როგორც თავის, ისე თავის ოჯახის, მეზობლებისა და ამხანაგების ჯანმრთელობას.

**ქ... ტურძელაძე.**

## წითელ ფლოტში.

### ფლოტი ემზადება საზამთრო კამპანიისათვის.

საერთოდ ზამთრის პერიოდში სერიოზული მუშაობა სწარმოებს ფლოტში. როგორც გემები, ისე ფლოტის პირადი შემადგენლობაც ემზადება საზაფხულო ცურვისათვის.

წითელ ფლოტელთა ერთი ნაწილი გადიან სკოლებსა და გუნდებში თეორიულ სწავლას, მეორე ნაწილი აუმჯობესებს თავის ცოდნას და ეწევა აგრეთვე შესაკეთებელ მუშაობას. გარდა ამისა სწარმოებს ფართე პოლიტიკური და საერთო განათლებითი მუშაობა, ვინაიდან ზაფხულში ამისათვის ცოტაა თავისუფალი დრო.

ცხადია წითელი ფლოტის ასეთი მუშაობის წარმატება დამოკიდებულია მის ყოფაცხოვრებითი პირობებზე—საჭმელზე, ბინაზე, ფიზკულტურაზე, სასკოლო და სკოლის გარეშე ხელსაწყოებზე, სახელმძღვანელოებზე, კლუბების მდგომარეობაზე და სხვა.

ამ ჟამად ფლოტში მოდის ახალი შევსება. გაწვეულთა ერთ ნაწილს უკვე გავლილი აქვს წვევამდე მზადება. მას უკვე ესმის სამხედრო-საზღვაო სამსახურის მოთხოვნილებები, წითელი ფლოტის ამოცანები, გაცნობილია დისციპლინის მოთხოვნილებებსა და სხვა. ეს ნაწილი შევსების მაგარი ხერხემალია. ის დაეხმარება ახალწვეულებს ჩქარა ჩაებან მათთვის ახალ—სამხედრო ცხოვრების ფერხულში.

წელს, ახალწვეულის ყოფა-ცხოვრებითი პირობები კარგია: ყაზარმებში ყველგან სისუფთავე, წესრიგი, სინათლე, სითბო.

ჩვენი გემები წესრიგზეა. მთელი კამპანიის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა საგრძნობლად დაზიანებისა და უბედურების. ეს ამტკიცებს, რომ წითელ ფლოტელები ფრთხილად ეპყრობიან მათზე მინდობილ მექანიზმებს, სახალხო ქონებას.

# ახალი ცვლა წითელ ყაზარმაში

## წითელ ყაზარმისაკენ

**ახალსენაკის შესაკრები პუნქტი**

11—12 ნოემბრის დღეებში არაჩვეულებრივი მხიარულება იყო ახალსენაკის შესაკრებ პუნქტზე. მახლობელი სოფლებიდან და მთელი მაზრიდან სიმღერით მოეშურებოდნენ ზურგზე საგზალ აკიდებული ახალგაზრდები. ქართული წითელი ჯარის ნაწილებიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები, რომლებიც აქვე იღებდნენ ნაწილებისათვის ახალგაზრდობის განსაზღვრულ რიცხვს და აქედან პირდაპირ მიეშურებოდნენ ახალი, ცოცხალი ძალებით მუდმივ სადგომ ადგილებისაკენ.

ორი დღის განმავლობაში გაუწყვეტელი სიმღერა და ცეკვა ამაში იყო პუნქტზე. აქ თავი მოიყარა მაზრის მთელმა ახალგაზრდობამ. მოყვებოდნენ მშობლები, ნათესავები და გზას ულოცავდნენ სამხედრო სამსახურისაკენ.

იშვიათი სიხალისით მოეშურებოდნენ ახალგაზრდები. წითელი ყაზარმა ყველას აინტერესებს, ყველა დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

— იქედან სულ სხვანაირად დავბრუნდებით, ცოდნას შევიძენთ, თვალებს ავახელთ და ქვეყნის ავკარგის გაგების უნარი ჩვენც გვექნებაო. ასე გაიძახოდა ყველა.

გაწვეულების თავის მოყრის შემდეგ ჩატარებული იქნა საუბარი სამხედრო სამსახურისა და მისი დანიშნულების შესახებ. შემდეგ სამხედრო ორკესტრის თანხლებით მწყობრად ჩამოატარეს ყველა ქალაქის ქუჩებში, ხოლო შემდეგ კი ადგილობრივ კლუბში გაიმართა საზეიმო კრება. ახალწვეულებს პირველი სიტყვებით მიმართეს ადგილობრივ სამაზრო პარტკომის, ახკომკავშირის და მაზრის სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლებმა. გამოვიდნენ ახალწვეულებიც, რის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით. მეორე დღეს სხვა და სხვა ნაწილებში განაწილებული ახალგაზრდობა, თავიანთი უფროსების თანხლებით გაეშურენ სამსახურის ადგილებისაკენ.

ვ. გოროზია.

## წითელ ყაზარმამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

**მე 2 არტლეგიონ.**

ჯერ კიდევ ყაზარმაში მოსვლამდე ბევრი რამ გვქონდა გაგონილი წითელი ჯარის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, ბევრი რამ ვიცოდით იმაზედაც, თუ როგორ შეგვხვდებოდნენ ძველი წითელარმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა, მაგრამ ის რაც ჩვენ ვნახეთ და განვიცადეთ მე-2 არტლეგიონში მოსვლისთანავე, წარმოდგენილიც არ გვქონდა.

ყაზარმის ეზოში ფეხის პირველი შებიჯებისთანავე სულ სხვა გარემოებაში ვიგრძენით თავი. ნაწილის მთელი შემადგენლობა იშვიათი მზრუნველობითა და ხალისიანათ შემოგვეგება წინ. პირველი დღიდანვე დაიწყეს ჩვენთან საუბრების ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ იზოლიაციაში ვიყავით. აგვიხსნეს წითელი ჯარის დანიშნულება, თითეული ჩვენგანის მოვალეობა მტკიცე დისციპლინის დაცვის საქმეში, რა შეუძლია მოგვცეს ყაზარმას ჩვენი განვითარებისათვის თუ გულმოდგინეთ მოვეკიდებით მუშაობას, ჩავებმებით ნაწილში არსებულ სხვა და სხვა წრეებში და სხვა.

ლენინის კუთხე მზამზარეულად მოწყობილი დაგვხვდა. აქ ვიღებთ პირველ ნათვლას პოლიტსაუბრებში. გვიკითხავენ ხმამაღლა ჟურნალ-გაზეთებს და გვირკვევენ სხვა და სხვა საკითხებს. ახალწვეულებში ბევრი აღმოჩნდა სამხკორთა წრეში მომუშავეთა მსურველი. სამხკორობა ძლიერ იზიდავს მრავალ ჩვენთაგანს.

იმედი გვაქვს, რომ ასეთი მონდომებული ხელმძღვანელების მეოხებით ჩვენ მალე შევსძლებთ სამხედრო საქმის ზედმიწევნით შესწავლას და საზოგადო განვითარების მიღებას.

გაუმარჯოს ჩვენს ერთგულ ხელმძღვანელებს. გაუმარჯოს წითელ არმიას!

ახალწვეული ვ. ბუჯიაშვილი.

## ჩვენი ყაზარმა გაივსო ახალწვეულებით.

**ცხენ. ლეგიონი.**

ერთ კვირაზე მეტია რაც ლეგიონში დაიწყო მოსვლა ახალწვეულებმა. ამ ჟამად თითქმის დამთავრებულია ლეგიონის შევსება.

მათი მოსვლის პირველ დღესვე ძველ წითელარმიელებთან ერთად ჩატარებული იქნა საუბარი ყაზარმული ყოფა-ცხოვრებისა და საერთოდ წითელი არმიის დანიშნულების შესახებ.

ახალწვეულები დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენს ცხოვრებას. ყაზარმაში მოსვლისთანავე ისინი გულმოდგინეთ ათვალიერებდნენ საცხოვრებელ ბინებს, ცხენებს, რომლებიც ჩაბარდება მათ ამ ახლო მომავალში, საჯინიბოს და აუარება კითხვებს იძლეოდნენ. ძველი წითელარმიელები დაწვრილებით აძლევდნენ პასუხს ნაწილის თითეული მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ.

კარანტინში ყოველ საღამოობით იმართება საუბრები საერთაშორისო, ჩვენი რესპუბლიკის შინაური მდგომარეობის და მუშური ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის შესახებ, რა როლს თამაშობს წითელი არმია ამ აღმშენებლობაში.

ესკადრონის თავი, პოლიტხელები და მწყობრის თავები ყოველდღე მათთან არიან და ესაუბრებიან მათ.

დიდ ინტერესს იჩენენ ახალწვეულები სამხედრო საქმის საკითხებში.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 40% აღწევს. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობისათვის უკვე დაწყებულია მზადება.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან აგრეთვე ამხანაგები ცნობებს ნაწილში წრეების მუშაობის შესახებ.

ჟურნალ-გაზეთები ძლიერ აინტერესებთ, განსაკუთრებით გაზეთი „წითელ-არმიელი“. ეხლავე გამოსთქვეს სურვილი ზოგიერთებმა თავიანთ სოფლებისათვის გაზ. „წითელ-არმიელის“ გამოწერის შესახებ.

ბევრია აგრეთვე მონდომებული სამხკორობაზე. ლეგიონის სამხკორთა წრე სულ მოკლე ხანში აუარება წევრებს შამოიკრებს ახალწვეულებიდან.

მალე დაიწყება ახალწვეულებთან პოლიტსაათები. ამისთვის ლეგიონი ყოველმხრივ არის მომზადებული.

ესკადრონებში უკვე მოწყობილია სხვა და სხვა კუთხეები, როგორიც არის ლენინის კუთხე, სამხედრო, სანიტარული, რემედასის, საერთო განათლების, ავიოქიმის და სხვა. მალე მოეწყობა აგრეთვე სამხკორთა კუთხეც.

უკვე ამოძრავდა, გახალისდა და სიცოცხლე დაეტყო მიყუჩებულ ყაზარმას. საზამთრო პერიოდის მუშაობა კიდევ უფრო გაacxოველებს მას.

„ქურხული“.

## ახლები მივიღეთ.

**მე 2 არტლეგიონი.**

**1904 წ. დაბადებულების მიღებას არტლეგიონი დიდის ენერგიით შეუდგა. ნაწილის ყველა დარგებს ემჩნეოდა ინტენსიური და ერთგული მომზადება.**

**ახალწვეულები მოსვლისთანავე იქნენ შემოსილი ახალი სამხედრო ტანსაცმელით. კარანტინი მოწყობილია საუკეთესოდ. ლენკუთხეში ყოველ საღამოს ტარდება საუბრები წით. არმიის ყოფა-ცხოვრების შესახებ. თითეულ საუბრის დროს ახლები იძლევიან მრავალ შეკითხვებს.**

**ჯერჯერობით წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მათში 4 კაცს უდრის, რომელთანაც უკვე დაიწყო მეცადინეობა.**

**ამ დღეებში კლუბი აწყობს საღამოს ახალწვეულებისათვის, სადაც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საშეფო ქარხნის მუშებიც. თავისუფალ დროს „ახლები“ ატარებენ ცეკვასა და სიმღერაში. „ახლებს“ და „ძველებს“ შორის მარად კარგი განწყობილება არსებობს.** სამხკორი ა. პა—ვი.

## ყველაფერი აინტერესებთ.

**1-ლი ლეგ. ბატარეია.**

**ჩვენს ბატარეიაშიც გადმოგზავნეს ლეგიონიდან ახალწვეულები. მთელი ბატარეია მომზადებული დახვდა მათ, სუფთა კარანტინით, ლენინის კუთხითა და სხვა საჭირო მასალებით მორთული. ძველი წითელარმიელები მოუცილებლად მათთან არიან და უხსნიან წითელი ყაზარმის ცხოვრების თავისებურებას, სამხედრო დისციპლინის დაცვის მნიშვნელობას და წითელი ჯარის მიზნებს. ატარებენ ხმამაღალ კითხვებს ჟურნალგაზეთებიდან და უხსნიან ყველა გაუგებარ სიტყვებსა და წინადადებებს.**

**ახალწვეულები აქედანვე დიდ ინტერესს იჩენენ სამხედრო საქმესა და პოლიტიკურ საკითხებისადმი.**

**ახლად მიღებულ ტანსაცმელს კარგად უვლიან. კარანტინიდან განთავისუფლებასა და სამხედრო სწავლების დაწყებას მოუთმენლად მოელიან.**

**ფრონესპირელი.**

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### საჭიროა მეტი სისუფთავე.

**მე-5 ლეგ. მე-2 ათასეულის წითელ არმიელებს არ აგზავნიან აბანოში თავის დროზე. ამას თავი დავანებოთ, არც საცვლები ირეცხება და ხშირად თითო თვეობით ვერ იცვლიან მას წითელ არმიელები. ყველა ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ გაჩნდა მკბენარი და მოსვენება არ აქვთ მოლაშქრეებს. სამნეო ნაწილი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს წითელ არმიელთა ჰიგიენის საკითხს. საჭიროა მრეცხავის დაქირავება და წითელ არმიელების აბანოში თავის დროზე გაგზავნა.**

**გ—ზია.**

### მარტო წევრად ჩაწერა ვერ გვიშველის.

**1-ლ არტლეგიონში ჯერ კიდევ მაისში მოიწვიეს კრება, რომელმაც გადასწყვიტა ერთხმად სამხედრო კოოპერატივ „ბოეცის“ წევრებად ჩაწერა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაგვიხსნეს დუქანი ნაწილში, მაგრამ ბანაკში გასვლის შემდეგ ეს დუქანი დაიკეტა. საზამთრო ბანაკზე მოსვლის შემდეგ დუქანი აღარ გაიხსნილა. დაგვრჩა ხელში მხოლოდ საწევრო წიგნაკები და მეტი არაფერი. კერძო ვაჭრები ისევ ტყავს გვაძრობენ.**

**გაგვიხსენით კოოპერატიული დუქანი.**

**ს. თ—ძე.**

### საცვლებს თავის დროზე არ გვირეცხენ.

**მე-2 ლეგიონის სამრეცხაოში, არ ექცევა ყურადღება, რომ თავის დროზე ირეცხებოდეს წითელ არმიელების საცვლები. ხშირად აბანოში წასვლის დროს ზოგიერთ ასეულებს არ აქვთ სუფთა საცვლელი.**

**საჭიროა ყურადღებას მიექცევდეს ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს და მოაწესრიგებდენ საქმეს.**

**ნ. ქ.**

## პორუჩიკი გლიბა

**(მუშის ნაამბობი)**

(თარგმანი რუსულიდან.)

ეს იყო ოცი წლის წინად.

შენ, ამხ. წითელ არმიელო, მაშინ მაგიდის ქვეშ დახოხავდი კატების დასაჭერად. ალბად ერთი-ორი წლის თუ იქნებოდი მაშინ. ჩემი ცხოვრება კი მაშინ მეტად მძიმე იყო. ვმსახურობდი ჯარისკაცად ნიკოლოზის არმიაში.

იცით თქვენ რას ნიშნავდა სალდათის სამსახური ძველად? არა, თქვენ არ იცით. ეს სამსახური კი არა, კატორღა იყო, ჯოჯოხეთი.

**მხეცი**

გვყავდა ჩვენ კომანდირი—პორუჩიკი გლიბა. ჩვენ მას მხეცი შევარქვით სახელად. მართალია, გლიბა პორუჩიკი იყო, მაგრამ ლაპარაკი მან არ იცოდა. ის კი არ ლაპარაკობდა—მხეცივით ღმუოდა, იგინებოდა, ჩხუბობდა.

ჯარის კაცებს გლიბა ხვადაგს ეძახდა.

— შე ხვადაგო, დრუნჩს დაგი[...]ყავ, ცხვირში ძმარს გადენ!—[...]ღაოდა გლიბა.

— უუჰ, შე ცხოველო, ნაობახ[...]ო ამოგალპობ!

— შე ძაღლო, ისე გაგროზგავ რომ სიკვდილზე მიგაყენებ.

ძაღლო! და მართლაც რომ ძაღლზე მეტი უფლებები არც კი ჰქონია მაშინ სალდათს. მაშინ ხომ ბაღის კარებზე გაკრული იყო განცხადება:

| |
|---|
| ძაღლების და სალდათებს შესვლა აკრძალულია. |

**სისხლიანი ცეკვა**

ჩვენთან იყო სალდათი ლელჩუკი. მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო ის. უყვარდა მას სიმღერა და ცეკვა.

ერთხელ, კვირა დღეს, ყაზარმის ეზოში შეგროვდა სალდათები. ლელჩუკი ცეკვავდა.

— მხეცი მოდის—გაისმა უცებ ჩურჩულით.

ყველა გაქვავდა. ლელჩუკმა შესწყვიტა ცეკვა.

გლიბა ჩვენთან მოვიდა. მივესალმეთ მას, როგორც წესი და რიგი იყო. უცებ გლიბა ტკბილად ალაპარაკდა:

— ლელჩუკ, რად შესწყვიტე ცეკვა? იცეკვე ძმავ, იცეკვე.

ჩვენ გაგვაოცა ამან. მხეცი და ასე დაყვავებით ლაპარაკი! საკვირველია!

დაიწყო ლელჩუკმა ცეკვა. იცეკვა 10, 20 წუთი. დაიღალა, ფეხები ეკეცება.

— იცეკვე ძმავ, იცეკვე—მზაკვრულად ეუბნებოდა გლიბა.

ლელჩუკს გზა აღარ აქვს. განაგრძობს ცეკვას. ფეხები არ ემორჩილება· გადის 10—20 წუთი; ბოლოს ხრიალით ამბობს:

— აღარ შემიძლია მეტი, ღონე გამომელია.

— უუჰ შე წუნკალო,—დაიღრიალა უცებ გლიბამ.

— მე შენ გიჩვენებ, ხვადაგო! იცეკვე!

და, რაც კი შეეძლო, გლიბამ ჩაარტყა ჩექმა მუცელში ლელჩუკს.

ლელჩუკი ცეკვას განაგრძობს. ჩვენ ყველანი გავფითრდით. ვერ გაუძლო ბოლოს ლელჩუკმა. დაეცა. მხეცი გააფთრებით სცემდა ლელჩუკს. სცემდა დაუზოგავად თავში, სახეზე, თვალებში, მუცელში. სცემდა და ღრიალებდა:

— იცეკვე წუნკალო, იცეკვე შე ძაღლო!

ცხვირიდან და ყურებიდან სისხლმა ითქრიალა. ლელჩუკი იღებებოდა სისხლით და ცეკვავდა. ბოლოს... გული შეუწუხდა და უგრძნობლად დაეცა.

მას შემდეგ ჩვენთაგანს არავის არც უმღერია და არც უცეკვია...

**ყველა „ელექტრო სანათით“**

დიაღ, ძმებო, წითელ მეომრებო, არც ერთი სალდათი არ დარჩენილა ჩვენთან „ელექტრო სანათი“ რომ არ ჰქონოდეს. დღე არ გავიდოდა ისე, გლიბას ვისმესთვის „ელექტრო სანათი“ რომ არ გაეკეთებია თვალში. არ იფიქროდ ეს შემთხვევით მოდიოდა. არა. მხეცი სპეციალურად ეწეოდა ამ საქმეს.

სალდათები ყოველ დილით ამბობდენ:—ვისი ჯერია დღეს? ვის დაუნალვლებს მხეცი დღეს თვალებს?

ნუ სწუხდებით. გლიბა დღეს არ გაუშვებს. ის „კეთილსინდისიერად“ ასრულებს ამ საქმეს.

ნამდვილი სპეცი გახდა ის ამ საქმეში. ერთხელაც არ აუცდენია მოქნეული ხელი. სცემდა მეტ ნაწილად არა კბილებში, არა ცხვირში, არამედ უსათუოდ თვალებში.

**სალდათი ივანოვი**

აუხირდა გლიბა სალდათ ივანოვს. დაუწყო ღრიალი:

— ცხვირ-პირს დაგამტვრევ, შე ხვადაგო!

შემდეგ კი ჩვეულებისამებრ მუშტებზე გადავიდა.

და აი, აქ, საკვირველი და მოულოდნელი ამბავი დატრიალდა.

ივანოვი დაქანდა და მუშტი გაადო ცხვირში გლიბას.

მოულოდნელობამ ყველანი გააქვავა და პირველყოვლისა თვით გლიბა.

და სანამ გლიბას მოულოდნელობის გამო ლაპარაკის უნარი დაუბრუნდებოდა, ივანოვმა რამოდენიმე მუშტი კიდევ მიართვა ცხვირში.

მოცვივდენ უნტერ-ოფიცრები. ხელი სტაცეს ივანოვს და ცემა დაუწყეს.

დიდხანს სცემეს საცოდავ ბიჭს, სანამ გონებას დაჰკარგავდა. შემდეგ შეჰკრეს და კარცერში ჩააგდეს.

— ჩამოახჩობენ — ნაღვლიანად ამბობდენ სალდათები—ვერ აშორდება სახჩობელას.

მაგრამ ივანოვი არ ჩამოუხჩვიათ, არც გაუსამართლებიათ.

ღამით ვიღაცამ შეჰკრა თოკით გუშაგი, გასტეხა კარცერის კარი და ივანოვიც გაიქცა, მიიმალა.

ძვირად დაგვიჯდა ივანოვის გაქცევა. მთელ ასეულს დაჰკითხეს, ყველას სათითაოდ სცემეს და ნაობახში უკრეს თავი. შემდეგ მთელი ასეული გაასამართლეს და საჯარიმო ათასეულებში გაანაწილეს.

ამრიგად დამნაშავე მაინც ვერ აღმოაჩინეს. სალდათებმა ყველამ იცოდა, რომ ივანოვი მე და კიდევ ორმა სალდათმა გავათავისუფლეთ...

***

მუშამ ამბავი გაათავა და გაჩუმდა. სდუმდენ წითელ არმიელებიც, რომლებიც შემოხვევოდენ მას. შემდეგ ვიღაცამ იკითხა:

— რა მოუვიდა ივანოვს? ხომ არ შეხვედრიხართ შემდეგ?

— როგორ არა, შევხვდი—მიუგო მუშამ.—ეს იყო 1919 წელში ნოვოროსიის ოლქის მთებში.ვხელმძღვანელობდი მაშინ სამიათასიან პარტიზანულ რაზმს დენიკინის ზურგში. ბევრი პარტიზანი იყო მთებში. ხოლო საერთო ხელმძღვანელობა არ ყოფილა. ბოლოს ჩვენ მივიღეთ ცნობა № არმიის შტაბიდან, რომ ჩვენთან მოდის კომუნისტების ჯგუფი პარტიზანულ მოძრაობის ხელმძღვანელებად.

დიდხანს უცადეთ.მოვიდენ.ჩვენთან რაზმის კომისრად დანიშნულ იქნა ამხ. ივანოვი, ჩემი ძველი მეგობარი სალდათობიდან...

გლიბაც ვნახე მეგობრებო. 1921 წელში წუმწუმა ვიყიდე ბაზარში მეწვრილმანიდან. დავაკვირდი—გავოცდი. ეს იყო ჩვენი მხეცი, პორუჩიკი გლიბა. ჩაეცვა ძველი შინელი, წელზე თოკი შემოერტყა და ვაჭრობდა.

ეხლა კი ზის გამსახლში თავისი ძველი მხეცობისთვის.

# წითელ არმიის ცხოვრებიდან.

## წითელ არმიელის გამოგონება

ტაშკენტის (თურქესტანშია) საგარნიზონო პურის საცხობში არ იყო საზომავი ხელსაწყო წყლის „ბაკის“ გასავსებად. „ბაკი“ მოთავსებული იყო ფურნის თავზე. „ბაკს“ ავსებდენ წყლით გადაქაჩვის საშუალებით. წყალი გადაჰყავდათ თავანიდან, ჩამოდიოდა ჭერში და აფუჭებდა შენობას. ამას გარდა ამ საქმეს დიდი დრო მიჰქონდა. წითელ არმიელმა პედერმა თვითონ გამოიგონა და მოაწყო სიგნალიზაცია: გაიყვანა ელექტრო-გამტარი წყალ საქაჩავიდან აბაზანისკენ. გამტარის ბოლოზე მიამაგრა მან სპილენძის ფირფიტი და ჩაუშვა გამტარი აბაზანის კიდეების დონეზე.

ეხლა, როცა წყლით ივსება აბაზანა და მიეკარება ფირფიტს, წყალსაქაჩავის შენობაში ინთება ელექტრო ფანარი. მაშინ ამხ. პედერი აჩერებს მოტორს.

# როგორ იფლანგებოდა მილიონები

ჟურნალში—„ომი და რევოლიუცია“ დაბეჭდილია საფრანგეთის გენერალის პერსენის წერილი ომის საქმეზე მფლანგველობის შესახებ. წერილში ნათქვამია:

„დაუდევრად, უსინდისოდ და უანგარიშოდ იხარჯებოდა და ნიავდებოდა ყველაფერი უკანასკნელ ომის დროს: ყუმბარები, სურსათი და ყოველგვარი მომარაგება. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მაშინდელ ქვეყნების მესვეურთა ლოცვა-კურთხევით ხდებოდა. ასე ამბობდენ მაშინ: „ბოში (ესეიგი) გერმანელები გადაგვიხდისო.“

რაც შეეხება ყუმბარებს, საფრანგეთის სენატორის იუბერის ცნობით, დახარჯულია 26 მილიარდი ფრანკის (ფრანკი=37 კაპ.) არტილერიის ყუმბარა, ე. ი. ჩვენი ომის მთელი ხარჯების ერთი მეშვიდედი.

ყუმბარების დამზადების ყოფილი უფროსი ალბერ ტომა ტრაბახობდა, რომ მან აიყვანა საფრანგეთის არტილერიის წლიური ბიუჯეტი 8 მილიარდ ფრანკამდე. მან დაამზადა 520 მილიმეტრიანი ზარბაზანი, რომლის ერთი გასროლა ღირს 40 ათასი ფრანკი, ზარბაზანი, რომელიც უსარგებლოა და რომლის მიზანია მხოლოდ გააკვირვოს საზოგადოება. ერთმა ჟურნალმა დახატა ალბერტ ტომა ყუმბარათ, რომელიც ტომაზე უფრო მაღალია.

1922 წ. მე შემთხვევით შევხვდი ერთ მრეწველს, რომელიც ომის დროს მსახურებდა 155 მილიმეტრიან ზარბაზნების ბატარეაზე. მე ვკითხე ამ ოფიცერს, როგორ ისროდა ეს ზარბაზანი.

„საუცხოვოდ—მომიგო მან. იმდენად კარგა, რომ ჩვენ 10 ვერსის მანძილიდან დავანგრიეთ ფაბრიკის მილი. ამის გარშემო არტილერიის ოფიცრებს შორის დიდი სანაძლეო იყო დადებული შამპანიურზე“

ეს „პატარა თამაში“, რომელმაც მოინდომა 500 ყუმბარა, დაჯდა 150 ათასი ფრანკი.

520 მილიმეტრიანი ზარბაზნიდან კი ასეთი “თამაში„ დაჯდებოდა 20 მილიონი ფრანკი.

# სამხედრო ქრონიკა

### როგორ დავაჩქაროთ საჩივრების განხილვა.

პროკურატურის პრაქტიკაში წითელარმიელთა წერილების ბიუროსა და გაზეთების რედაქციებს ხშირად ეღობება წინ დაბრკოლებები: წითელარმიელები საჩივრებსა და წერილებში ხშირად არ აღნიშნავენ სწორად არც თავის ნაწილს, არც ოჯახის მისამართს, რომლის შესახებაც სწერენ, არც დროს, როდის მოხდა ესა თუ ის ფაქტი. ამას შედეგად მოსდევს ზედმეტი მიმოწერა, დაუსრულებელი შეკითხვები, გამოძიების შეფერხება და ზომების მიღება განცხადების გარეშე, რაც თავის მხრივ უკმაყოფილებას იწვევს.

უზენაეს სასამართლოს სამხედრო პროკურატურის განყოფილებამ სპეციალური ცირკულიარით მიმართა ადგილობრივ ორგანოებს საჩივრების მიღების დროს ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჩივრებსა და განცხადებებში სრულად იყოს ყველა საჭირო ცნობა გამოძიების საწარმოებლად.

### სამხედრო მსახურთა ოჯახების აღწერა.

სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახის წევრების აღწერა, რომლებიც სცხოვრობენ სამხედრო უწყების შენობებში სწარმოებს სამხედრო ან ცალკე დანიშნულ რეგისტრატორის მიერ. დაკითხვის გზით აღნიშნულ პირებზე შეივსება მხოლოდ სამოქალაქო ნიმუშის პირადი ფურცლები.

აღწერის წინ სამხედრო ინსტრუქტორის მიერ სდგება სამხედრო მსახურთა სწორი სია აღწერისათვის.

# ჩვენს სამხკორთა შორის

## გაერთიანებული თათბირი მომავალ მუშაობის შესახებ

16 ნოემბერს მე-3 ლეგიონის კლუბში შესდგა ქუთაისში მყოფ ქართულ ნაწილების სამხკორებსა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა გაერთიანებული თათბირი, მომავალი მუშაობის შესახებ.

თათბირმა იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესება, მუშაობა ახალწვეულებთან და სამხკორთა აღზრდა.

კედლის გაზეთების შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გეგია 1-ლი დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან. მან მთელი რიგი მითითებანი წამოაყენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ კედლის გაზეთების გაუმჯობესებას და როგორ უნდა დაუახლოვდეს ის მასას. შეეხო აგრეთვე სარედაქციო კოლეგიების მოვალეობებს.

სამხკორთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხკორთა ორგანიზატორმა კენჭაძემ. მან ჩამოსთვალა მთელი რიგი ზომები, რომლებიც საჭიროა მიღებული იქნეს, რომ მრავლად მივიზიდოთ ახალწვეულები სამხკორთა მუშაობაში. აღინიშნა სამხკორის მოვალეობა, თუ რამდენად უნდა გრძნობდეს ის თავს პასუხისმგებლად თვითეული კორესპონდენციის დაწერის დროს, და მრავალი სხვა.

მოხსენებები თათბირმა მიიღო ცნობათ.

დასასრულ გამოტანილი იქნა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის დასკვნები:

1. კედლის გაზეთის თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის, გაზეთის გამოშვებისათვის სამზადისი მუშაობა იწყებოდეს რამოდენიმე დღით ადრე და ყურადღებით ხდებოდეს მასალების შერჩევა.

2. ახალწვეულებთან მუშაობის გაჩაღების მიზნით მოეწყოს კედლის გაზეთების გამოფენა, ექსკურსიები და დაარსდეს მოსამზადებელი სემინარები.

სამხკორთა შორის მიმზიდველობითი მუშაობა ეხლავე იქნეს დაწყებული და გამოყენებული იქნეს ქართულ ენაზე არსებული ყველა მასალები.

კ როყუა.

# პასუხი შეკითხვებზე

— სარიშვილს. ამ ჟამად მოხალისეების მიღება შეჩერებულია.

— კლიმიაშვილს. ჯამაგირი უნდა მიიღოთ შტატის მიხედვით, როგორც ზედმეტი მსახური.

— მოხალისეს. ტანსაცმელი გადადის მოხალისეს საკუთრებათ ტარების ვადის გასვლის შემდეგ.

— ზუზაძეს. ნაწილის საშვალებით მიეცით განცხადება მოწმობების ზედდართვით შეღავათის შესახებ.

— ზალიკაშვილს. ვინც შეღავათებით სარგებლობს, ისინი განთავისუფლებული უნდა იქნან უვადო შვებულებაში, თუ აკმაყოფილებენ ბრ. № 367—26 წ.

— ხორავას. სკოლაში შესვლის შესახებ ცნობის მიღება შეგიძლიათ ნაწილის ბეითლისაგან.

— იმერლიშვილს. არავითარი საჩუქარი (მიმატება) სამსახურის დროს გარდა ჯამაგირისა არ ეძლევა არავის. მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნის დროს ორი კვირის დახმარება ეძლევათ.

— ხვედელიძეს. წითელ გვარდიაში სამსახური ორმაგად ითვლება.

— ორმოცაძეს. პენსიის მიღების შესახებ ნახეთ ბრძანება № 285.

— მინაშვილს. თუ თქვენ ზედმეტი მსახური ხართ, შვებულებაში წასვლა შეგიძლიათ ბრ. № 925—25 წ. თანახმად.

— კაკალიშვილს. სამილიციო სკოლაში შესვლა დაგვიანებულია.

— განავას. მჭედლები ორ წელიწადს მსახურობენ (ბრ. № 505—26 წელი).

— მარელესელს. თუ საშუალო სკოლის მოწმობა არ გაქვთ, სამხ. სამსახურის გავლა სავალდებულო სამხ. სამს. კანონის 13 მუხ[...] ხედვით არ შეგიძლიათ.

— მასვე. უფლება მოკლე ვადიან შვებულებაზე, როგორც ლე[...]გიონის სკოლა დამთავრებულს, არ გაქვთ. ბრ. 925—25 წ.

— ზიას. ავადმყოფობის გამო შვებულებაში წასვლა შეიძლებ[...] საექიმო-საგარნიზონო კომისიის დადგენილებით.

— კურსანტს. რადგან თქვენ მწყობრისათვის გამოსადეგი ა[...] მოჩენილხართ, ამიტომ გამოცდები უნდა ჩააბაროთ თადარიგის უ[...] შემადგენლობაზე და არა ადმშემად. ბრ. 965—25 წ.

— ზინობიის. უნდა იმსახუროდ ორი წელიწადი.

— ან—ძეს. ჯერ-ჯერობით არ გერგებათ.

— შამათავას. შემოგვითვალეთ თქვენი ოჯახის წევრებ[...] წლოვანება, შემდეგ შეგვეძლება გიპასუხოთ.

— ტყვირელს. განთევისუფლებული არ იქნებით, რადგან თქვე[...] ჯარში ყოფნის დროს მოხდა ცვლილება ოჯახში.

— ჩელას. არა.

— ხა—იას. ვალდებულია თქვენი ძმა ოჯახს დაეხმაროს.

— ც. ც. გეკუთვნით და კიდეც ამ თვეში მოგეცემათ.

— მამასახლისს. სამხ. ნორმალურ სკოლაში შესვლის დრო[...] ჯამაგირი მოგეცემათ თანახმად ბრ. № 106—26 წ.

— ნავთლუღელს. არ გერგებათ.

— დასჯილს. შეგიძლიათ გაასაჩივროდ.

— ბელაშვილს. 1927 წ. შემოდგომაზე განთავისუფლებულ[...] იქნებით.

— პაპიაშვილს. არ ითვლებით ზედმეტ მსახურად, ამიტ[...] ჯამაგირი არ გეძლევათ.

— ემელიანეს. წ. ა. ნაწილიდან ნაწილში გადაყვანა აკრძა[...]ლულია. ბრ. № 834—25 წ.

— ბ. რომელ წელში ხართ დაბადებული გვაცნობეთ.

— იორაშვილს. ჯარში გაწვევის ერთი თვის განმავლობაშ[...] გეძლევათ დახმარება დამზღვევ სალაროდან.

— ოქროპირიძეს. ტყიდან მასალა უნდა მოგეცეთ 25—7[...] პროც. დაკლებულ ფასებში.

— შიოს. მორიგეობა თქვენც გეხებათ.

— ა. წ. ყაზარმა თქვენც უნდა დაასუფთაოდ.

— ხოხობაშვილს. კერძო ბინაზე ცხოვრება არ შეგიძლიათ[...] გინდაც რომ ცოლშვილიანი იყოთ.

# სარეკომენდაციო სია 1-ლ საფეხურის პარტ-სკოლებისათვის,

### საუბარი მე-7.

1. ლენინი, ნ. მოხსენება რ. კ. პ. ც. კ-ის მოქმედების შე[...]სახებ მე-2 ყრილობაზე. ტომი—18. გვ. 549—590.
2. ლენინი, ნ. სასურსათო გადასახადის, თავისუფალი ვაჭრო[...]ბის და კონცესიების შესახებ. ტომი—18. გვ. 246—264
3. ლენინი, ნ. ოქროს მნიშვნელობა დღეს და სოციალიზმი[...] სრული გამარჯვების შემდეგ. ტომი—18. გვ. 463-471
4. ლენინი, ნ. ნატურალური გადასახადი. ტომი—18. გვ. 157—170.
5. სტალინი, ი. ს.კ.პ. (ბ) ცეკას პოლიტიკური ანგარიში მე-14 ყრილობაზე. (საბოლოო სიტყვა). ტ. „ზაკკნიგა“ 1926 წ.
6. „ „ რუს. კომ. პარტ. (ბ) მეთორმეტე ყრილობი[...] რეზოლიუციები. (მრეწველობის შესახებ). ტ. „წით. წი[...]გნი“. 1923.
7. „ „ რ.კ.პ. (ბ) მეცამეტე ყრილობის რეზოლიუციებ[...] (ვაჭრობის და კოოპერაციის შესახებ). ტ. ა. კ. საოლქ[...] კომ. გამოცემა 1924.

### საუბარი მე-8.

1. ლენინი, ნ. ნატურალური გადასახადი. ტომი—18 გვ. 157—170.
2. ლენინი, ნ. სასურსათო გადასახადის შესახებ. ტომი—18 გვ. 234—272.
3. ლენინი, ნ. კოოპერაციის შესახებ. ტომი—18. გვერდ[...] 686—695.
4. სტალინი, ი. ს. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტ. ანგარიში მე-14 ყრილობაზე.
5. „ „ მე-14 პარტ-კონფერენციის რეზოლიუციები კო[...]ოპერაციის შესახებ.
6. „ „ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-1[...] ყრილობის რეზოლიუციები. ტ. „ზაკკნიგა“. 1926.
7. Абезгауз, Г. и Протасов, А. Партийная Грамота т. Ги[...] 1926. ეს წიგნი გამოსადეგია ყველა ზემო საუბრებისთვის[...] მე-5, 6, 7, და მე-8 საუბრებისათვის საჭირო მასალ[...] გაზეთ „კომუნისტში“ (ოქტომბრის და ნოემბრი[...] თვეების). რიკოვის მოხსენება მე-15 პარტ-კონფე[...]რენციაზე და კონფერენციის რეზოლიუციები.

# წიგნების სია ოპოზიციის შესახებ (ქართულ ენაზე)

1. ბუხარინი, ნ. პარტია და ოპოზიცია. ტ. სახ. გამ. 1926 ფასი—20.
2. მახარაძე, ფ. პარტია და ოპოზიცია. ტ. სახ. გამ. 1926 ფასი—20
3. „ „ ზინოვიევი და კამენევი 1917 წელში. ტ. სახელგამი. 1926.
4. ბუხარინი, ნ. ოპოზიციის ეკონომიურ პლატფორმის კრიტიკა. ტ. სახელგამი. 1926. ფასი—35 კ.
5. „ „ მემარჯვენეობის საშიშროება ჩვენს პარტიაში. ტ. სახელგამი. 1926. ფასი—15 კ.

# სხვა და სხვა

### მკვდრებს—ყვავილი, ცოცხლებს—სამარე.

ინგლისის პარლამენტის შენობაში მიჭედილია კედელზე უზარმაზარი დაფა, რომელზედაც სწერია:

**„სახსოვრად ორ მილიონ ბრიტანელისა, რომლებიც დაიღუპენ მეფისა და სამშობლოსათვის.“**

ჰაიდ—პარკში, ლონდონის საუკეთესო ბაღში, უზარმაზარ კვარცხლ ბეკზე სდგას უზარმაზარი ზარბაზანი. ეს არის მოკლულ არტილერისტების ძეგლი.

ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც 1914—18 წლებში სასტიკი ბრძოლები იყო, ფრანგები და გერმანელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძეგლების აგებასა და სასაფლაოების მოწყობაში.

დიდის ზეიმით ხსნიან „უცნობ სალდათის“ ძეგლებს. ბურჟუაზია არ ზოგავს ფულებს სოლდათების სასაფლაოს მოსაწყობად, რათა თვალი აუხვიოს მშრომელებს და ყვავილებით სასაფლაოზე დაჰფარონ ის იარები, რომელიც მიაყენა მშრომელებს ომმა.

მარტო ინგლისის სასაფლაოებზე საფრანგეთში ბურჟუაზიას დაქირავებული ჰყავს 800 მებაღე სალდათების სასაფლაოებზე ყვავილების მოსაშენებლად.

მსხვილი კაპიტალისტები იღებენ ერთგვარ შეფობას სასაფლაოებზე. ერთი უუმდიდრესი ინგლისის მრეწველი სერ ნიმმო ინახავს თავის ხარჯზე იპრის სასაფლაოს, სადაც დამარხულია მთელი ბრიგადა სამხრეთ—აფრიკელ მსროლელებისა.

იმავ დროს კი ინგლისის ბურჟუაზიას არცერთი კაპიკი არ გაუღია რათა მაღაროს მუშების ბავშვები შიმშილით არ მომკვდარიყვნენ.

### მათთვის გრიგალსაც სარგებლობა მოაქვს.

ამას წინად ფლორიდაში (ამერიკაში) გადაიარა გრიგალმა, რომელმაც რამოდენიმე ათეული სოფელი გაანადგურა. ათასობით ოჯახი უბინაოდ დარჩა, მთელი ქალაქი მიამი აღიგავა დედამიწის პირისაგან. ხოლო ვიღაცეებს ამ გრიგალმა სარგებლობა მოუტანა.

აი, მაგალითად, ილინოის ოლქის გუბერნატორი სმოლი მდიდარი კაცია. ნათქვამია: რამდენად მეტი მდიდარი, მით უფრო გაუმაძღარი. მასთან მას ხელთ აქვს სახაზინო ფულები.

სმოლმა გადასწყვიტა მისცეს სახაზინო ფულები სესხად კაპიტალისტებს, ხოლო სარგებელი ჯიბეში ჩაიდოს. წელიწადში სმოლმა გააკეთა ორ მილიონ ნახევარი მანეთი.

სმოლის მტრებმა საჩივარი შეიტანეს ამის შესახებ. სმოლმა იპოვა გამოსავალი:—ბანკი მქონდა დაარსებული, ეხლა აღარ არის.

— როგორ თუ ბანკი?

— ბანკი იყო მიამში, მიამი გრიგალმა დაანგრია და ყველა საქმეები დაიღუპაო.

### სამეძავო სახლები, პოლიცია, სასახლეები.

რა და რა კავშირი არაა ქვეყნიერებაზე. მაგ. იაპონიაში არის სამეძავო სახლის მეპატრონეთა კავშირი. ამას წინად მოხდა ამ კავშირის ყრილობა, და ყრილობის თავმჯდომარემ ცურუდამ დიდი სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის საწინააღმდეგოდ.

ცურუდა უკმაყოფილო იყო იმით, რომ მთავრობამ დააწესა საექიმო მეთვალყურეობა არა მარტო სამეძაო სახლებზე, არამედ ქუჩის მეძავეებზეც. ცურუდას აფიქრებს ის გარემოება, რომ იაპონიის მოქალაქეები ამის გამო ისარგებლებენ ქუჩის მეძავებით და საძეძავო სახლების შემოსავალი დაიკლებსო.

დამსწრეებს, რა თქმა უნდა, მოეწონად ცურუდას სიტყვა, გამოიტანეს სათანადო რეზოლიუცია და დელეგაციის ხელით გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრს.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის სამეძავო სახლები 15 მილიონ შემოსავალს აძლევს ხაზინას წელიწადში. დიდძალი თანხა მიაქვს აგრეთვე პოლიციას ყოველგვარ ბნელი საქმეებისათვის. პოლიციის უფროსმა ტოკიოში ააგო სასახლე ამ „უცოდველ“ შემოსავლიდან.



პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.